

## სკოპინგის დასკვნა N4

**საქმიანობის დასახელება:** საკანალიზაციო სისტემის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაცია და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (ს/კ 412670097);

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. ბაღდათი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 13.10.2023;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ:** შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი“.

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, წარმოდგენილია, ქ. ბაღდათში, საკანალიზაციო სისტემის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციის და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ქ. ბაღდათში არ არსებობს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. მოსახლეობის უმრავლესობა სარგებლობს მიწისქვეშა სეპტიკური ჭებით და ჩამდინარე წყლები, გაწმენდის გარეშე ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტებში (მდ. ხანისწყალი, მდ. საკრაულა) და გრუნტში. არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია ახალი საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაცია, რომელიც მოემსახურება ქ. ბაღდათის მოსახლეობას, ასევე სოფ. ფერსათისა და სოფ. დიმის ნაწილს.

სკოპინგის ანგარიშში განხილულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივები, მათ შორის მოცემულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობისა და წყლების გაწმენდის ტექნოლოგიის ალტერნატივები, ასევე საქმიანობის განხორციელების უმოქმედობის ალტერნატივა. დოკუმენტში განხილულია გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილმდებარეობის სამი ალტერნატიული ვარიანტი: 1) სოფ. დიდველას მიმდებარე ტერიტორია (GPS კოორდინატები: X – 315410; Y – 4667788); 2) ქ. ბაღდათი (GPS კოორდინატები: X – 320424; Y – 4661333); 3) სოფ. დიმი (GPS კოორდინატები: X – 317583; Y – 4666280). აღნიშნული ალტერნატიული ვარიანტებიდან გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობების გათვალისწინებით, შერჩეული იქნა პირველი ვარიანტი. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შერჩეულ ტერიტორიას აქვს ხელსაყრელი მდებარეობა ჰიდრომეტრიული თვალსაზრისით, ასევე ხელმისაწვდომია საკმარისი ფართობი იმისთვის, რომ პროექტი

სრულფასოვნად განხორციელდეს. ასევე გათვალისწინებულ იქნა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტერიტორია წარსულში შერჩეული იყო ანალოგიური საქმიანობისთვის. რაც შეეხება გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიას, უპირატესობა მიენიჭა აქტივირებული ლამის და ინტენსიური აერაციის ტექნოლოგიის გამოყენებას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო საკანალიზაციო ქსელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების შეკრებას და საპროექტო გამწმენდი ნაგებობაში მიწოდებას. საკანალიზაციო სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: გრავიტაციული საკანალიზაციო ქსელი (დაახლოებით 33 კმ სიგრძით); კანალიზაციის ჭები (დაახლოებით 1500 ერთეული); სახლების დაერთებები (დაახლ. 900 ერთ.); წნევანი სისტემა (დაახლოებით 4 კმ სიგრძით); სატუმბი სადგურები (9 ერთეული); მთავარი კოლექტორი (დაახლოებით 8,5 კმ სიგრძით). საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა შესაბამისი დახრილობის უზრუნველყოფით და მილებში ნაკადების გადაადგილება ძირითადად მოხდება თვითდენით, ზოგიერთ მონაკვეთზე საჭირო იქნება სატუმბი სადგურების მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია 21,757 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 30.03.37.067). არსებული მდგომარეობით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი გამწმენდი ნაგებობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან) დაშორებულია 130 მ-ით. გამწმენდი ნაგებობისთვის განკუთვნილ ტერიტორიას აღმოსავლეთის მხრიდან ემიჯნება მდ. ხანისწყალი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის წარმადობა განსაზღვრულია ქ. ბაღდათის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის ეტაპისთვის (2027 წ) ქ. ბაღდათის მოსახლეობის მოსალოდნელი რაოდენობის შესაბამისად, გამწმენდი ნაგებობა მიიღებს დღე-ღამეში 992 მ<sup>3</sup>-მდე მოცულობის ჩამდინარე წყლებს, ასევე გამწმენდი ნაგებობა დაპროექტებულია სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით 2040 წლისთვის ბაღდათის მოსახლეობის პროგნოზული რაოდენობის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობა მიიღებს დღე-ღამეში 1979 მ<sup>3</sup>-მდე ჩამდინარე წყლებს.

საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედის: მსხვილი ცხაური და ხელით მართვადი სათადარიგო ცხაური; შემშვები სატუმბი სადგური; წმინდა ცხაურის სისტემა (მეორადი სკრინინგი), ქვიშისა და ცხიმის დამჭერი; შემავალი დინების მზომი სისტემა; ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები; საბოლოო სალექარი ავზი; დიფუზორების უჯრედები და საბერველების სადგური; დაბრუნებული/ჭარბი აქტივირებული ლამისა და ნარჩენების სატუმბო სადგური; UV (ულტრაიისფერი) სადუზინფექციო სისტემა; ჩაშვებული წყლის გაზომვის სისტემა; ნიმუშის ავტომატურად აღების ყუთი; ტექნიკური წყლის სატუმბი სადგური; ლამის დამუშავების უბანი და სხვა დამხმარე ნაგებობები (როგორცაა: ადმინისტრაციული შენობა, ხანძარსაწინააღმდეგო ავზი, ტექნიკური წყლის სატუმბი, გაწმენდილი წყლის გაზომვის სისტემა და სხვა). გამწმენდი ნაგებობა შემოსაზღვრული იქნება ბადისებრი პანელური 2 მეტრის სიმაღლის ღობით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საკანალიზაციო სისტემიდან გამწმენდ ნაგებობაში მოხვედრილი წყლები თავდაპირველად გაივლის უხეში გაწმენდის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლებისგან შედარებით მსხვილი ნაწილების მოშორებას შემშვები ტუმბოების დაცვის მიზნით. სისტემას ექნება ძირითადი და სათადარიგო ცხაურები. შემდეგ ეტაპზე წყლები გადავა შემშვებ სატუმბ სადგურში, გაივლის კომპაქტური ქვიშისა და ცხიმის გამწმენდ ხაზებს და მოხვდება კომბინირებული აერაციისა და საბოლოო დალექვის ნაგებობებში. გამწმენდ ნაგებობაში გათვალისწინებულია დამატებითი ცხაურის სადგური - ქვიშის გამრეცხ სპეციალურად განკუთვნილ კონტეინერთან ერთად. ცხაურის სადგური უზრუნველყოფს 5 მმ-ზე მეტი ფრაქციის წვრილი დამაბინძურებლების გამოდევნას ქვედა დინების აღჭურვილობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. ცხაურის სისტემის შემდეგ გასაწმენდი მასა გადავა გაწმენდის ძირითად ეტაპზე - აერაციის ავზებში, სადაც წარიმართება ბიოლოგიური და ქიმიური პროცესები. ბიოლოგიური დამუშავების შედეგად მოხდება ნახშირბადის და საკვები ნივთიერების გამოდევნა გააქტიურებული ლამის პროცესით ასევე, ნუტრიენტების მოცილება (აზოტი და ფოსფორი) განხორციელდება ერთდროულად, დენიტრიფიკაციისა და ქიმიური P-ის მოცილებით,  $FeCl_3$ -ის საშუალებით. ბიოლოგიურად გააქტიურებული ლამის დამუშავება უზრუნველყოფს შემომავალი, წინასწარ დამუშავებული ჩამდინარე წყლისა და გადამუშავებული გააქტიურებული ლამის აერირებას ავზში. საკმარისი აერაციის პერიოდის შემდეგ, ლამი გამოიყოფა ჩამდინარე წყლიდან მეორეულ გამწმენდში. გაწმენდილი ჩამდინარე წყლები მიედინება შემდგომი დამუშავებისკენ ან ჩაშვებისკენ. გამწმენდში შეგროვებული ლამი დაბრუნდება აერაციის ავზებში წინასწარ დამუშავებულ ჩამდინარე წყალთან შესარევად. საბოლოო სალექარი ავზები უზრუნველყოფს აერაციის გამოსასვლელიდან გააქტიურებული ლამის გამოყოფას დალექვის მეთოდით. სალექარი ავზი აღჭურვილი იქნება ლამის მილებით, ძირის საფხეკი - ნარჩენების შემგროვებელი სისტემით. ლამის საფხეკების დანიშნულებაა და მილების დანიშნულებაა დალექილი ლამის გადატანა ლამის ძაბრებში. თითოეულ ძაბრს ექნება ჩადირული მილი, რომელსაც გრავიტაციით გადააქვს ლამი ძაბრიდან სატუმბი სადგურისკენ. საბოლოოდ ლამი გადაიტუმბება ლამის გამსქელებელში, საიდანაც გასქელებული ლამი გადავა საშრობ მოედნებზე. გამწმენდი ნაგებობიდან სუფთა წყლის გადმოდინება მოხდება მილების საშუალებით. გამწმენდი ნაგებობიდან გამომავალი გაწმენდილი წყლები ჩაშვებული იქნება მდ. ხანისწყალში (წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, ჩამდინარე წყლების მდინარეში ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-315489.15 Y-4667723.50).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე დაგეგმილია ლამის საშრობი მოედნების მოწყობა, სადაც მოხდება ლამის გამოშრობა და აერობული სტაბილიზაცია. ექსპლუატაციის ეტაპზე ლამის ჯამური მოცულობა იქნება დაახლოებით 70 ტ/წელ, თუმცა სტაბილიზებული ლამის გატანა მოხდება 2,5-3 წელიწადში ერთხელ. სტაბილიზებული ლამის გატანამდე მოხდება მისი ლაბორატორიული კონტროლი ტოქსიკური მეტალების შემცველობაზე. არსებული მდგომარეობით სტაბილიზებული ლამის გატანისთვის განიხილება ქ. ქუთაისის ნაგავსაყრელი. თუმცა ნარჩენების გატანის მომენტში (რომელიც ექსპლუატაციაში გაშვებიდან 2,5-3 წელიწადში დადგება) შესაძლებელია შემოთავაზებული იყოს სხვა ახლომდებარე ნებართვის მქონე ნაგავსაყრელი. ლამის გადატანა დანიშნულების ადგილამდე მოხდება სატვირთო მანქანის საშუალებით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა

და მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, დროებითი (გაუწყლოების ადგილებისა და პირობების მითითებით) და საბოლოო განთავსების ადგილების (შესაბამისი დასაბუთებით), ფართობებისა და პირობების მიხედვით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, დაგეგმილია მდ. ხანისწყლის სანაპიროზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება. მდინარის ნაპირის გამაგრებისთვის დაგეგმილია დაქანებული ნაპირების დაფარვა ქვყარილით. ქვყარილით დაფარვამდე მომზადდება დაქანებული ნაპირი გასწორებით (ფილტრის ფენის მოწყობით), იმ შემთხვევაში, თუ არასაკმარისი ადგილის გამო დახრილი კონსტრუქცია ვერ იქნება გამოყენებული, შესაძლოა დაიგეგმოს სანაპირო კედლის მოწყობა, წარმოდგენილი ინფორმაციით, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიის დასაცავად საჭირო ნაპირდამცავი ნაგებობის სიგრძე იქნება 75 მ. იმისთვის, რომ საიმედოდ იქნას უზრუნველყოფილი გაწმენდილი ჩამდინარე წყლების მდინარეში ჩაშვება, ნაპირდამცავ კედელში ჩაყოლებული იქნება მილი, რომელსაც ექნება წყლის უკუდინებისგან დამცავი სარქველი. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოების, მათ შორის ნაპირსამაგრი ნაგებობების პარამეტრების შესახებ, ტოპოგრაფიული, ჰიდროლოგიური (მდ. ხანისწყლის მაქსიმალური ხარჯები, წყლის მაქსიმალური დონეები, მორეცხვის სიღრმეები და სხვა) და გეოლოგიური კვლევების საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ჩრდილოეთის მხარეს მოეწყობა ახალი ასფალტირებული გზა, რომელიც საპროექტო ტერიტორიას დააკავშირებს ცენტრალურ გზასთან. საპროექტო გზის სიგრძე იქნება 450 მეტრი, სიგანე - 6 მ.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 1-1,5 წლის განმავლობაში (წელიწადში დაახლოებით 280 სამუშაო დღე). წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის სამშენებლო ბანაკის მოწყობა. ანგარიშში ასევე, მითითებულია, რომ გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე მოეწყობა სამშენებლო ბაზა, სადაც განთავსდება: საოფისე ტიპის კონტეინერი, მცირე ზომის სათავსო (მათ შორის სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისთვის), მექანიკური დამუშავების უბანი, მოედანი სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის განთავსებისთვის, წყლის რეზერვუარი და საასენიზაციო ორმო. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სამშენებლო ბანაკების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და მშრალ ამინდებში გრუნტით დაფარული უბნების დასანამად. სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება (560 მ<sup>3</sup>/წელ) გათვალისწინებულია ახლომდებარე წყალმომარაგების ქსელიდან. სამშენებლო ბანაკზე მოეწყობა სამარაგო რეზერვუარი, რომელიც პერიოდულად შეივსება ავტოცისტერნით. სასმელად ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბუტილირებული წყალი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობას სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალური წყალმომარაგების სისტემიდან. ხანძარსაწინააღმდეგო და გაგრილების მიზნებისათვის გამოყენებული იქნება დამუშავებული ჩამდინარე წყლები.

მშენებლობის ეტაპზე ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება ბიოტუალეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, საიდანაც გატანილი იქნება მუნიციპალური სამსახურის მიერ. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიაზე ასევე იარსებებს ხანძარსაწინააღმდეგო წყლის მარაგი, რომელიც შეივსება ქ. ბაღდათის წყალმომარაგების ქსელიდან.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, ასევე ძველი გამწმენდი ნაგებობისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის დემონტაჟის შედეგად 600 მ<sup>3</sup> მოცულობის სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა, რომლის ნაწილი გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოებში, ნაწილი განთავსდება სამშენებლო ნარჩენებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში შესასრულებელი მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტის (გამწმენდის ტერიტორია - 200-300მ<sup>3</sup>; საკანალიზაციო ქსელი - 100 000მ<sup>3</sup>) ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 90-95%) გამოყენებული იქნება პროექტის განხორციელების ეტაპზე (ტერიტორიის ნიველირება, გვერდების ამალღება, უკუყრილები, და სხვ.), ხოლო დარჩენილი ნაწილი, დაახლოებით 5-10% სატვირთო ავტომობილებით გადაიზიდება სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. **გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ექსკავირებული გრუნტის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე განთავსების მიზანშეწონილობა, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს გრუნტის განთავსების კონკრეტული ადგილების შესახებ ინფორმაცია;**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია დაახლოებით 16 500 მ<sup>2</sup> ფართობზე ნიადაგის მოხსნა, საშუალო სიმძლავრით - 20 სმ (მოცულობა 2500-3500 მ<sup>3</sup>-მდე). ასევე, მოსაწყობი გზის დერეფანში გათვალისწინებულია დამატებით 300-500 მ<sup>3</sup> მოცულობის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება მშენებლობის პროცესში დაზიანებული უბნების აღდგენით სამუშაოებში.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების შესრულებისა და ტექნიკის გადაადგილების პროცესთან. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დაკავშირებული იქნება სამუშაოების განხორციელების ადგილზე, მასშტაბსა და ხანგრძლივობაზე. წინასწარი შეფასებით ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. გამწმენდი ნაგებობის და საკანალიზაციო ქსელის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება და უსიამოვნო სუნის გავრცელება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, აღნიშნული სახის ზემოქმედებები არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელება დაკავშირებულია ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეულ ზემოქმედებასთან. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე 3 სატუმბო სადგურის მუშაობის დროს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სატუმბო სადგურების დაზუსტებული რაოდენობების გათვალისწინებით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ კვეთს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს „აჯამეთს“, ასევე სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორია კვეთს აჯამეთის აღკვეთილის საზღვრებს. საპროექტო არეალში წარმოდგენილი ჰაბიტატი მცენარეული საფარის სახეობრივი შემადგენლობის, ხე-მცენარეების სიხშირისა და ანთროპოგენური დატვირთვის ხარისხის მიხედვით, ძირითადად ერთგვაროვანია და მკვეთრი გრადაცია არ აღინიშნება, გარდა საპროექტო დერეფნის ბოლო მონაკვეთისა, სადაც ტერიტორია წარმოდგენილია ნოტიო ოლიგოტროფული ბალახოვანი ცენოზებით. საპროექტო დერეფანში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საკვლევი არეალი არ გამოირჩევა ძუძუმწოვრების მრავალფეროვნებით, ამასთან საპროექტო დერეფნის მონაკვეთები მდებარეობს საავტომობილო გზის სიახლოვეს, რაც გავლენას ახდენს ფაუნის წარმომადგენლებზე. მდ. ხანისწყალზე ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ საპროექტო არეალის მიმდებარედ, მდინარე ხანისწყალში მობინადრე იქთიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა და რაოდენობა მცირეა. ჩატარებული კვლევისას, საპროექტო ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა წითელი ნუსხით დაცული სახეობები.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო არეალში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით, შერჩეული ტერიტორია ხელსაყრელია დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსებისთვის.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული იქნება ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებასთან, რომელიც მოსალოდნელი იქნება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით აღნიშნული სახის ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების (ტერიტორიის პერიმეტრის გამწვანება ხელოვნური ნარგავებით) გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო არეალი არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დამცავ ზონებში და მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ადგილი იქნება კუმულაციურ ზემოქმედებას. გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობასთან ერთად, ქ. ბაღდათში დაგეგმილია დასახლების წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. კუმულაციური ზემოქმედებები მოსალოდნელია: ატმოსფერულ

ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით, ნარჩენებით წარმოქმნით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით, ადამიანის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკებით და ა.შ. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კუმულაციური ზემოქმედების შემცირების მიზნით, გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი და გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რაც დაზუსტებული იქნება გზშ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა 2023 წლის 9 ნოემბერს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისა და სოფ. ვარციხეს ადმინისტრაციული ერთეულის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: გარემოს ეროვნული სააგენტოს, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა უახლოესი მოსახლის მდებარეობის, მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების და ალტერნატიული ვარიანტების განხილვის საკითხებს. **სოფ. ვარციხეში ადგილობრივმა მოსახლეობამ მკაფიო წინააღმდეგობა გამოთქვა გამწმენდი ნაგებობის შერჩეულ ლოკაციაზე განთავსებასთან დაკავშირებით და მოითხოვა გამწმენდი ნაგებობის დასახლებული პუნქტისგან მოშორებით გადატანა. მათი განმარტებით, გამწმენდი ნაგებობამდე და საცხოვრებელ სახლამდე მანძილის გათვალისწინებით, მოსალოდნელი იქნება უსიამოვნო სუნის გავრცელება დასახლებულ პუნქტში. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი (N66-66233396), რომლის თანახმად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებმა 2023 წლის 24 ნოემბერს, შეხვედრა გამართეს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც მუნიციპალიტეტის ჩართულობით წარიმართა. წერილში მითითებულია, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე დაინტერესებულ საზოგადოებას დეტალურად განემარტა პროექტის მნიშვნელოვანი საკითხები და მიეცათ საშუალება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ წარმომადგენლებისთვის დაესვათ კითხვები/წერილში აღნიშნულია, რომ საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიისა და საკონსულტაციო კომპანიის მიერ, წარმოდგენილი იქნა კვლევები და არგუმენტები უსიამოვნო სუნის გავრცელებასთან დაკავშირებით, ასევე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია გრუნტის წყლებისა და ზედაპირული წყლის მდ. ხანისწყლის დაბინძურების პრევენციული ღონისძიებების შესახებ.**

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი არ არის წინააღმდეგი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ განახორციელოს მშენებლობა საპროექტო ტერიტორიაზე.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. **გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.**
4. **გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:**
  - დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
  - საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდ(ებ)ის, ასევე საკანალიზაციო ქსელის (დაზუსტებული სიგრძე), კოლექტორების, გამწმენდი ნაგებობის და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების ადგილის shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით;
  - საკანალიზაციო სისტემის და კოლექტორის სქემა (სატუმბო სადგურების აღნიშვნით), საპროექტო გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
  - საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით) და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტ(ებ)ამდე, ასევე უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე;
  - ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ინფრასტრუქტურის განთავსების ალტერნატიული ვარიანტები, ასევე უმოქმედობის ალტერნატივა, ტექნოლოგიური

**ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივები, შესაბამისი დასაბუთებით;**

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, მათ შორის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საკანალიზაციო სისტემის (საკანალიზაციო ჭების ჩათვლით), კოლექტორის, სატუმბი სადგურების, გამწმენდი ნაგებობის და ნაპირსამაგრი კონსტრუქციების დეტალური აღწერა (ფიზიკური მახასიათებლების მითითებით);
- საკანალიზაციო წყლების შეკრების, გამწმენდ ნაგებობამდე მიწოდებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური სქემის/ციკლის შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი თანმიმდევრობით, მათ შორის: შერჩეული ტექნოლოგიის დეტალური აღწერა; შერჩეული მეთოდის ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია; ჩამდინარე წყლებისგან დამაბინძურებელი ნივთიერებების მოცილების პროცესის დეტალური აღწერა;
- კოლექტორების საკანალიზაციო სისტემის, სატუმბი სადგურების და გამწმენდი ნაგებობის სიმძლავრეების/წარმადობების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის, პროექტირებისას გამოყენებული ტექნიკური პარამეტრები - ერთ მოსახლეზე წყალმოხმარების/წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა, გამწმენდის გამტარუნარიანობა და სეზონური ეფექტურობის მაჩვენებლები, შესაბამისი დასაბუთებით;
- გამწმენდ ნაგებობაში მოხვედრილი დაბინძურებული წყლის სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები, ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი დაბინძურების დატვირთვები) შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით. ასევე, გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლების მონიტორინგის (სინჯის აღების წერტილები, მეთოდები, პერიოდულობა) საკითხები;
- ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების წერტილის დაზუსტებული GPS კოორდინატები;
- მოსახლეობის/ვიზიტორების ზრდისა და შესაბამისად ჩამდინარე წყლების რაოდენობის ზრდის დინამიკის მაჩვენებლები, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის წარმადობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის მითითებით;
- ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, საბოლოო მართვის ღონისძიებების მითითებით. მათ შორის:
  - წარმოქმნილი ლამის კლასიფიკაციისა და ლაბორატორიული კვლევის ჩატარების შესახებ ინფორმაცია;
  - გამწმენდი სისტემიდან ლამის განტვირთვის სიხშირის შესახებ ინფორმაცია, გამწმენდი ნაგებობიდან ლამის განტვირთვის მეთოდის მითითებით;
  - დაზუსტებული ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ლამის მართვის შესახებ. გაუწყლოების ადგილი და პირობები, საბოლოო დასაწყობების ადგილები და პირობები;
  - ლამის სასუქად გამოყენების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს: დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ტიპის ლამის სასუქად გამოყენების საერთაშორისო

პრაქტიკისა და შედეგების შესახებ (საინფ. წყაროს მითითებით); ინფორმაცია ლამის სასუქად გამოყენების პირობების, სტანდარტების შესახებ და სხვ.

- გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სუნის გავრცელებასთან გამოწვეული ზემოქმედების შეფასება (სუნის გავრცელების წყაროების მითითებით), შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით და შესაბამისი დასაბუთებით;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;
- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგება/წყალარინების, შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების, ასევე სანიაღვრე წყლებისა და მათი მართვის შესახებ (მათ შორის, საკანალიზაციო წყლებში სანიაღვრე წყლების შერევისა და შესაბამისად სანიაღვრე წყლების გამწმენდ სისტემაში მოხვედრის შესახებ ინფორმაცია);
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურით მდინარეების და ხევების გადაკვეთების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური პარამეტრების მითითებით (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურით სხვადასხვა მიწისქვეშა/მიწისზედა საკომუნიკაციო ქსელების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს კერძო მესაკუთრებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (კერძო საკუთრებების გადაკვეთის შემთხვევაში);
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზების შესახებ. მოსაწყობი გზის შესახებ დეტალური ინფორმაცია პარამეტრების, სქემატური ნახაზებისა და shp ფაილების მითითებით, ასევე შეფასებული უნდა იქნეს მისასვლელი გზის მოწყობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;

#### **4.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:**

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოებში გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ;

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- დასაბუთებული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა (არსებობის შემთხვევაში) და სანაყაროების (არსებობის შემთხვევაში) განთავსებისთვის შერჩეული ადგილ(ებ)ის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილია სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტ(ებ)ის მოწყობა, წარმოდგენილი უნდა იქნეს ობიექტ(ებ)ის წარმადობები, ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და სხვა პარამეტრები. ასევე შეფასებული უნდა იქნეს აღნიშნული ობიექტ(ებ)ის მოწყობის შედეგად გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება;
- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის საპროექტო დოკუმენტაციის მითითებით (მოწყობის შემთხვევაში). ასევე, წარმოდგენილი უნდა სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დაზუსტებული ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ასევე დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები (არსებობის შემთხვევაში);
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)იდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი (არსებობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით (არსებობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ საკითხები (არსებობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ზე საწვავის შესანახი ავზების ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).

**4.2 საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ტერიტორიაზე ჩატარებული გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს:**

- გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:
  - რელიეფი (გეომორფოლოგია);
  - გეოლოგიური აგებულება;
  - სეისმური პირობები;
  - ჰიდროგეოლოგიური პირობები;

- საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;
- გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:
  - საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

#### **4.3 ბიოლოგიური გარემოს შეფასების ნაწილში, წარმოდგენილი უნდა იყოს:**

- გზმ-ის ანგარიშში, ბიოლოგიური კვლევის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ჰაბიტატებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებასა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ასევე, ზემოაღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, უნდა განისაზღვროს მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, მასშტაბი და განახლდეს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, რომელშიც უნდა აისახოს ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე დაკვირვების საკითხი. მონიტორინგის გეგმაში, ასევე უნდა აისახოს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, ასევე სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და მახასიათებლების შესახებ (ე.წ ტყეკაფის უწყისი);
- გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის განთავსების ალტერნატივები, მათი შედარებითი ანალიზი, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით და დეტალურად უნდა იქნეს განხილული ადგილმდებარეობების ალტერნატიული ვარიანტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

#### **5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის: მოცემული უნდა იყოს მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი;

- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებული უნდა იყოს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ობიექტების განთავსების ადგილებიდან მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტებამდე. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე და მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, მდ. ხანისწყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის წარმოების შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების მართვის საკითხების, შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (მათ შორის წყლის გარემოზე), მიმდებარედ არსებული და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე (შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტის, ისტორიკოსი, არქეოლოგის ჩართულობით). კულტურულ ფასეულობებზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენა, აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია), ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით), მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი

ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;

- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა;
- საკანალიზაციო სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით);
- გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა. მათ შორის გამწმენდი ნაგებობის ავარიული გაჩერების შემთხვევაში მდინარის დაბინძურების პრევენციის მიზნით განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი რეკომენდაციები.

**6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:**

- ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პროექტის შესახებ საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული შენიშვნების/მოსაზრებების და წინააღმდეგობრივი პოზიციების არსებობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია;
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს „აჯამეთის აღკვეთილის“ საზღვრებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებამდე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების - „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე მე-60 მუხლის შესაბამისად საჭიროა ტერიტორიისათვის განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭება, რისთვისაც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ამავე დადგენილების 61-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაცია. ასევე მიზანშეწონილია, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უარყოფითი ზემოქმედება. გარდა ამისა, დაცულ ტერიტორიაზე.

გათვალისწინებულ იქნას დაცულ ტერიტორიებზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალისთვის პრევენციული ღონისძიებები ფუნქციონირების პერიოდში. შემარბილებელი ღონისძიებების დროს გამოყენებულ უნდა იქნას ის სტანდარტები, რაც ითვალისწინებს ფლორისა და ფაუნის სახეობების უსაფრთხოებას დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნებით მნიშვნელოვანი არეალის ფარგლებში. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენით;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს ყვირილას დეპრესიის მანგანუმის საბადოს კონტურს. მანგანუმის საბადოს პროდუქტიული ფენა განლაგებულია სიღრმეზე და საბადოს დამუშავების შემთხვევაში წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრების მეშვეობით. “წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი იმ შემთხვევაში თუ, მომავალში, არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა;
- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილების შესაბამისად ნარჩენების (მათ შორის ლამის) კოდების, დასახელებების, მოსალოდნელი რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ. მიზანშეწონილია აღნიშნული ინფორმაცია მოცემული იქნას ევროკავშირისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში არსებული მიდგომიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 2023 წლის ივლისში საპროექტო არეალში (მდ. ხანისწყალზე) ჩატარდა იქთიოლოგიური კვლევა, რომლის შედეგად არ გამოვლენილა წითელი ნუსხით, ან სხვა კონვენციებით დაცული სახეობების არსებობა. შესაბამისად, პროექტის გავლენა მდინარე ხანისწყალზე და იქ არსებულ იქთიოფაუნაზე იქნება უმნიშვნელო. მიუხედავად ამისა, მშენებლობის ეტაპზე შესასრულებელმა სამუშაოებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს წყლის ამღვრევას, ვიბრაციას და ხმაურს, რაც უარყოფითად აისახება მდინარის იქთიოფაუნის ცხოველმყოფელობაზე. ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამუშაოების წარმოება არ დაემთხვეს მაის-ივლისის თვეებს, როცა საპროექტო არეალში მობინადრე სახეობები ქვირილობენ. ასევე, მნიშვნელოვანია ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნეგატიური ზეგავლენა, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება ნარჩენების (მათ შორის ლამის) მართვასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ის შემარბილებელი ღონისძიება, რაც მოცემულია სკოპინგის ანგარიშში და სათანადოდ გაკონტროლდეს აღნიშნული პროექტის თითოეული ფაზა;
- ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას“ საავტომობილო გზა, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაგეგმილი საქმიანობის

განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკოპინგის ანგარიში შეიცავს ტექნიკური შინაარსის ხარვეზებს, კერძოდ: გვ. 75 – „ადმინისტრაციული თვალსაზრისით იგი მდებარეობს „ენგურ-რიონის“ აუზში; სურ. 5.5 - წარწერები მოცემული არ არის ქართულ ენაზე; გვ. 76 – „ქუთაისთან ახლოს, მდინარე რიონის საშუალო წლიური ჩადინება წარმოადგენს 1343 მ<sup>3</sup>/წ, საშუალო მაქსიმუმით 1,806 მ<sup>3</sup>/წმ და საშუალო მინიმუმით 22 მ<sup>3</sup>/წმ“; ცხრილი 5.6.1 – „მდინარე რიონის სავარაუდო დროებითი ჩამონადენის გადანაწილება“.
- ვინაიდან საპროექტო გზის დერეფანი კვეთს შპს „საქართველოს მელიორაციის“ სამელიორაციო არხს, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისი ტექნიკური პირობებით;
- გზმ-ის ანგარიშში მდ. ხანისწყლის სხვადასხვა უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯების პარალელურად უნდა განისაზღვროს შესაბამისი დატბორვის არეალებიც;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სკოპინგის დასკვნაში გამოკვეთილი საკითხების გათვალისწინებით.

**გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).**

#### **დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. ბაღდათში, საკანალიზაციო სისტემის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციას და ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას, სავალდებულოა გზმ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.